პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩისთვის ექიმის, ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩას მიენიჭოს ექიმის, ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

მეოგრაფიული (მრეული.გაბ

1 : 2491

01.00.1901
01.10.13.023.181
01.01.045
01.00.287
01.10.13.023.157
01.10.14.023
01.02.248
01.00.693
01.10.13.023.077
01.10.13.023.223
01.10.13.028.003
01.10.13.028.037
01.10.13.028.012
01.10.13.028.000
01.10.13.028.006
01.10.13.028.002
01.10.13.028.043
01.10.13.028.020
01.10.13.028.008
01.10.13.028.009
01.10.13.028.004
01.10.13.028.026
01.10.13.028.011
01.10.13.028.017
01.10.13.028.018
01.10.13.028.036
01.10.13.028.025
01.10.13.028.013
01.10.13.028.007
01.10.13.028.014
01.10.13.028.015
01.10.13.028.016
01.10.13.028.027
01.10.13.028.031
01.10.13.028.030
01.10.13.028.029
01.10.13.028.032
01.10.13.028.033
01.10.13.028.034
01.10.13.028.035
01.10.13.028.038
01.10.13.028.039
01.10.13.028.040
01.10.13.028.041
01.10.13.028.042
01.10.13.028.044
01.10.13.028.045
01.10.13.028.046
01.10.13.028.047
01.10.13.028.048
01.10.13.028.049
01.10.13.028.050
01.10.13.028.051
01.10.13.028.052
01.10.13.028.053
01.10.13.028.054
01.10.13.028.055
01.10.13.028.056
01.10.13.028.057
01.10.13.028.058
01.10.13.028.059
01.10.13.028.060
01.10.13.028.061
01.10.13.028.062
01.10.13.028.063
01.10.13.028.064
01.10.13.028.065
01.10.13.028.066
01.10.13.028.067
01.10.13.028.068
01.10.13.028.069
01.10.13.028.070
01.10.13.028.071
01.10.13.028.072
01.10.13.028.073
01.10.13.028.074
01.10.13.028.075
01.10.13.028.076
01.10.13.028.077
01.10.13.028.078
01.10.13.028.079
01.10.13.028.080
01.10.13.028.081
01.10.13.028.082
01.10.13.028.083

საქართველოს პედიატრ ნეფროლოგთა ასოციაცია

GEORGIAN PEDIATRIC NEPHROLOGY ASSOCIATION

20.07.2017

ქ. თბილისის საკრებულოს

მოგახსენებთ, რომ საქართველოში ბავშვთა ნეფროლოგიის განვითარება უკავშირდება დიდი მეცნიერის და პედაგოგის, პროფესორ მერი გელოვანის სახელს. მან პირველმა საბჭოთა კავშირში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ბავშვთა ნეფროლოგიაში, რითაც საფუძველი ჩაუყარა მედიცინის ამ დარგის განვითარებას საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მთელი ჯგუფი ბავშვთა ნეფროლოგებისა, დაცულ იქნა 23 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, გამოიცა 8 მონოგრაფია. მისი ინტერესის სფერო არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ნეფროლოგიით ,იგი იყო შესანიშნავი პედიატრი და პედაგოგი, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრას, სადაც პედიატრთა არა ერთი თაობა აღიზარდა.

ქალბატონ მერის დამსახურება ქვეყნის წინაშე მისი გარდაცვალებით არ დასრულებულა. მის საქმეს მისი მოწაფეები მისადმი დიდი სიყვარულითა და მოწიწების გრძნობით აგრძელებენ.

საქართველოს ბავშვთა ნეფროლოგთა ასოციაცია შემოდის შუამდგომლობით ქ. თბილისის საკრებულოს წინაშე, რათა ბროლოსანის ქუჩას , სადაც ცხოვრობდა პროფესორი მერი გელოვანი , ეწოდოს მისი სახელი.

ასოციაციის წევრები: პროფესორი გ. ჩიტაია

მედიცინის დოქტორები: დ. კვირკველია

თ. აბულაძე

მ. ცანავა

ი. რცხილაძე

საქართველოს პედიატრ ნეფროლოგთა ასოციაცია GEORGIAN PEDIATRIC NEPHROLOGY ASSOCIATION 204951173

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი
№ 07/8336
"20" იულისი 2017
ფურცელთა რაოდენობა: 3 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

საქართველო, თბილისი, 0108, ზუბალაშვილების 44
ტელ: 99532 2996692. *ფაქსი:* 99532 2931000
ელ-ფოსტა: mrcheveli@gol.ge

44, str Br. Zubalashvili , 0108 Tbilisi, Georgia
Tel: 99532 2996692 *Fax:* 99532 2931000
E-mail: mrcheveli@gol.ge

ქ. თბილისის საკრებულოს ბროლოსანის ქუჩის მცხოვრებთა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენს ქუჩაზე 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე ცხოვრობდა ქალბატონი მერი გელოვანი- ექიმი-პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის გამგე.

ქ-ნი მერი გელოვანი იყო საქართველოში ბავშვთა ნეფროლოგიის, როგორც სამედიცინო დარგის ფუძემდებელი. მან აღზარდა პედიატრთა თაობები. ის იყო გამორჩეული თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნება, კეთილშობილი, გულისხმიერი. მეზობლებს დღესაც კარგად გვახსოვს მისი ყურადღება ჩვენი შვილების და ოჯახის წევრთა ავადმყოფობის თუ სხვა პრობლემების დროს. ჩვენ გთხოვთ, რომ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩვენს ქუჩას ეწოდოს ამ გამოჩენილი პიროვნების, მეცნიერის და ღირსეული მოქალაქის სახელი.

პატივისცემით,

ბროლოსანის ქუჩის მცხოვრებნი

მაია ქართველაძე [signature]

[illegible] [illegible] [signature]

თამარ დოლიძე [signature]

ს. [illegible]

თამარ კანდელაშვილი [signature]

ნინო სხვითიანი ნ. სხვითიანი

ირმა ჭეიშვილი ი. ჭეიშვილი

ზაზა ჭეიშვილი ზ. [signature]

მ. რომაძე მ. რომაძე

[illegible]

ქ. თბილისის საკრებულოს ბროლოსანის ქუჩის მცხოვრებთა

განცხადება

ჩვენს ქუჩაზე 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე ცხოვრობდა ქალბატონი მერი გელოვანი- ექიმი-პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის გამგე.

ქ-ნი მერი გელოვანი იყო საქართველოში ბავშვთა ნეფროლოგიის, როგორც სამედიცინო დარგის ფუძემდებელი. მან აღზარდა პედიატრთა თაობები. ის იყო გამორჩეული თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნება, კეთილშობილი, გულისხმიერი. მეზობლებს დღესაც კარგად გვახსოვს მისი ყურადღება ჩვენი შვილების და ოჯახის წევრთა ავადმყოფობის თუ სხვა პრობლემების დროს. ჩვენ გთხოვთ, რომ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩვენს ქუჩას ეწოდოს ამ გამოჩენილი პიროვნების, მეცნიერის და ღირსეული მოქალაქის სახელი.

პატივისცემით,

ბროლოსანის ქუჩის მცხოვრებნი

თინათინ [illegible] – თ.

ქრისტინე [illegible] – ქ.

ლია [illegible] – ლ.

[illegible] – ე.

ზურაბ [illegible] –

ზ. [illegible] ზ.

[illegible]

[illegible]

[illegible]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საბურთალოს რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
SABURTALO DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **31-0118068574**

თარიღი: **09.03.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ქ-ნ, თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

თქვენი მოთხოვნის N03-031806166; 02.03.2018წ. შესაბამისად გაცნობებთ, რომ საბურთალოს რაიონის გამგეობის-კოსტავა-ბახტრიონი-დოლიძე-ხილიანის საუბნო განყოფილებამ გამოკითხა ბროლოსანის ქუჩის მოსახლეობა და დაადგინა, რომ მაცხოვრებლების უმრავლესობა თანახმაა ბროლოსანის ქუჩას გადაერქვას სახელი და დაერქვას პროფესორ მერი გელოვანის სახელი.

პატივისცემით,

საბურთალოს რაიონის გამგეობა - გამგებელი

გაიოზ ვასაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ა.მიცკევიჩის ქ. N29, (+995 32) 237 42 19
#29, A.Mitskevichi Street, Tbilisi, 0160, Georgia, (+995 32) 237 42 19

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031806166**
თარიღი: **02/03/2018**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობა
მისამართი: საბურთალო - ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქ. #29

ბატონო გაიოზ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში 2017 წლის 20 ივლისს მატერიალური სახით შემოვიდა, საქართველოს პედიატრ ნეფროლოგთა ასოციაციის N07/8336 განცხადება. რომლითაც მოთხოვნილია ბროლოსანის ქუჩას დაერქვას ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელი, განცხადებას თან ერთვის ბროლოსანის ქუჩის მაცხოვრებელთა ხელმოწერები.

მოგმართავთ თხოვნით, დაავალოთ თვენ დაქვემდებარებაში მყოფ საუბნო სამსახურს, მოახდინონ მოსახლეობის გამოკითხვა ქუჩის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით, რათა მოსახლეობის პოზიციები გაზიარებული იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საჭიროების შემთხევაში კომისია მზად არის ჩაერთოს მოსახლეობასთან შეხვედრის და გამოკითხვის პროცესში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

თ. ნიბლოშვილი

თინათინ
ნიბლოშვილი

მერი გელოვანი

(1924- 2008)

ექიმი,აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი 1946 წელს.

1949–1952 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის ასპირანტი; 1953–1958 წლებში ამავე კათედრის ასისტენტი; 1968–1961 წლებში ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის ასისტენტი; 1962 წლიდან იყო საფაკულტეტო პედიატრიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი; 1968 წლიდან კათედრის პროფესორი; 1973–1994წწ. კათედრის გამგე, 1994 წლიდან კათედრის პროფესორია. ავტორია 138 სამეცნიერო ნაშრომისა, გამოქვეყნებული აქვს 4 მონოგრაფია, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 21 საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია. მის სახელს უკავშირდება საქართველოში პედიატრიული ნევროლოგიის დაარსება და განვითარება. ექიმი–პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საკანდიდატო დისერტაციის თემა - "მასალები კუჭის სეკრეტორული ფუნქციის შესცავლისათვის ადრეული ასაკის ბავშვებში", დაიცვა 1953 წელს.

სადოქტორო დისერტაციის თემა იყო "მწვავე და ქრონიკული გლომერულონეფრიტის კლინიკისა და პრედნიზოლონით მკურნალობის საკითხისათვის ბავშვებში", რომელიც დაიცვა 1965 წელს.

1995 წლიდან იყო საქართველოს მედიკო–ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი. 1987 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ოირდენით.